

## ფიქრები, მოგონება და ოცნება

კაციც ბევრშია გასამტყუნარი. იქამდის მამაცია, დაფიქრდება და იტყვის: ერთხელაც იქნება მოვკვდებიო, მაგრამ იმდენად მხნე და გონიერია, არა გიჟდება. ამ ფიქრს ინელვებს ადვილად, აღარა ფიქრობს ბევრს და იმავე წამს თავს არ იკლავს. მეტიჩარა არ არის; მონელეა უნდა. აკვანი და კუბო ტყუპნი არიან; ვიბადებით, აკვანში გვაწვევენ და გვარწებენ. ვიხოცებით--კუბოში გვასვენებენ და სამარისკენ ქანაობით მიგვათრევენ.

ერთმა ქვამ, დიდმა ლოდმა, გამიჭირა საქმე; ჭალაში გდია სწორედ გზის თავში. რაც გავჩნდი მას აქეთ სულ ერთ ადგილას არის წამოყუნთებული კალმიკების ღმერთივით, ზედ ხავსი მწვანედ გადაჰკრია და მხოლოდ ერთი წვეტი ცხვირიდა გამოჰშვირს ხავსით დაუფარავი. ველარაფერმა დაძრა ის მუდრეგი იმ ადგილიდამ, აღარც ღვარი ხვდება, აღარც ზვავი, სწორედ გულის გამასიებელია და მე კი გული გამისივა; ველარ მოვითმინე და მივედი ამ ქვასთან ახლო, - ვუცქერი, თითქოს საგანია, სიგრძეცა აქვს, სისქეც, სიმძიმე ათასის კაცის ტოლა, - მივედი ახლო მაინც, წარბს არ იხრის და ბრაზმორეულმა ჯობი დავუშინე: ადეგ, შე მუდრეგო, თუ გძინავს, გაიღვიძე, თუ გღვიძავს, დაიძინე, ერთი რამა ქმენი, აბა რას უდგებარ ეგრე ოხრად ტიალად? რასა ჰგავს შენი ყოფნა? ვაცქერდები, თითქოს დამცინის და მეუბნება: „შენ მოჰკვდები, მე კი ისევ ესრე ვიქნები აქ დარბაისლურად წამომჯდარი და გამვლელ-გამომვლელი მნახავს, მზე გამათბობს, ცის ნამი დამნამავსო!“ ჰაი, ბეჩავო ბეჩავო, არც ერთი არ არის შენთვის! ეს მხოლოდ ჩემი ოცნებაა, მაინც მკვდარი ხარ, მაინც შენ ვერაფერსა ჰგრძნობ და კიდევ ეგ მიკლავს გულსა, მხოლოდ კი ხარ, არსებობ და განა მე კი არ ვიქნები მკვდარი? მაგრამ დღეს რომ ცოცხალი ვარ, - ეს მეტი მაღლია ჩემთვის ღვთისგან მონიჭებული და ვცდილობ, სიცოცხლე რამეში გამოვიყენო. ვფიქრობ, ვგრძნობ, მიყვარს მძულს და კაცი მქვიან, დიაღ, კაცი საუკეთესო ბუნების წევრი ვარ, - ალბათ სიცოცხლესთან სიკვდილიც ერთი მაღლია, ერთი მშვენიერებათაგანი, დამამძიმებელი, ამაღლებული ჩემი კაცობისა.

კაცმა იცოცხლოს მანამ, სანამ ავს რასმე იქმოდეს, თუ არა და წინად სიკვდილი ურჩევნავ, კეთილი ხსოვნა და მოგონება მაინც დაგვრჩება იმისა და საუკეთესო ნაწილი კაცობრიობისა ხომ იმისთვის იკლავს თავს და იღწვის, რომ სიკვდილის შემდეგ კეთილი სახელი დასტოვოს ქვეყანაზე.

პოეტს ნიჭი მანამ შესწევს, უფლება აქვს იპოეტოს, განამტკიცოს კაცთა შორის მაღალი აზრი, მაღალი გრძნობა, წყლულიანი გული გაგვიმთელოს და, როცა საჭიროა, მთელი გული გაგვიწყლულიანოს და უკეთუ თავის თავს ატყობს, რომ ძალ-ღონე ელევა, სჯობს, დასტოვოს საზოგადოება და გაიხიზნოს სადმე უდაბნოში, რადგან იგი მკვდარია მაშინ ცოცხლებში გამორეული, - ისეთი მკვდარი, რომელსაც თუმცა სული კიდევ უდგა, მაგრამ ეს სული ჰკლავს კიდევ იმას და სიცოცხლეს უმწარებს.

გულსაკლავია, ძნელი ასატანი და მოსათმენია მტრის ჯარიდამ გამოსული მხედარი მოპირდაპირეს თხოვდეს და შენის ქვეყნის ლაშქარში კი დალეულიყოს მამაცი და შენნი თანამოძმენი შერცხვენილნი თავდაკიდებით უცდიდენ ციდამ მოვლენილს ვაჟკაცს, იმათში კი გადაწყვეტილიყოს...

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა ეკა გოგიბერიძემ.

ბათუმი, 22 აპრილი, 2020 წელი.

#დარჩისახლში